სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/05

ქ. თბილისი 11 მარტი 2026

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის სტუ-ის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2026 წლის 9 მარტის №0000286137 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 11 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერი), კანონით დადგენილი წესით, გადასცეს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქ. №5-ში მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შენობის (ს/კ 01.14.05.007.073) მე-6 სართულის N1, N3, N4, N5, N10, N11, N12, N13, N14, N15, N16, N23 და N24 ოთახები, ასევე მე-6 სართულზე დამატებული ერთი ოთახი პირობითი ნომრით N37a; საერთო ფართით – 295.926 კვ. მ.;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**